

საქართველოს მთავრობის კრიზისული კომუნიკაციის გაშუქება

COVID-19-ის მაგალითზე

ანა ალელიშვილი

კარლო თავართქილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი
ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ალელიშვილი

კარლო თავართქილაძე

03.07.2020

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო, საქართველოს მთავრობის კრიზისული კომუნიკაციის გაშუქების ანალიზი ხელისუფლების მიმართ ლოიალური, კრიტიკული და ნეიტრალური მედიის პოლიტიკურ გადაცემებში კორონავირუსის პანდემიის პერიოდში. კვლევის ავტორებმა შეისწავლეს, რა ჩარჩოებს (frames), წყაროებსა და გზავნილებს იყენებენ მედია საშუალებები, რა თემებს უთმობენ საეთერო დროს და როგორი არის ჟურნალისტების/წამყვანების ტონი პანდემიის გაშუქებისას. იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ აშუქებს მედია მთავრობის კრიზისულ კომუნიკაციას, ახერხებს თუ არა მთავრობა წარმატებულ კრიზისულ კომუნიკაციას მედიის საშუალებით, ჩავატარეთ შერჩეული მედიის ყოველკვირეული პოლიტიკური გადაცემების შინაარსობრივი კვლევა (26 თებერვლიდან 22 მაისის ჩათვლით). იქიდან გამომდინარე, რომ კრიზისულ ვითარებაში მოსახლეობის მხრიდან ინფორმაციაზე მოთხოვნილება მაქსიმალურად იზრდება, მედიას, როგორც ინფორმაციის გამავრცელებელსა და მოსახლეობის მაკოორდინირებელს, გლობალური კრიზისის პირობებში გადამწყვეტი როლი აკისრია.

კვლევამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ხელისუფლების მიმართ ლოიალური, პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ კეთილგანწყობილი და ნეიტრალური ტელევიზიების თემები და გაშუქების ტონი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასევე პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვანაირად წარმოაჩენენ და აძლევენ განსხვავებულ შეფასებებს. კრიზისის პირობებშიც ხელისუფლება, ისევე როგორც ოპოზიციური პარტიები, ცდილობენ წარმოაჩინონ თავიანთი პოლიტიკური ხედვები და საკუთარი დღის წესრიგი შესთავაზონ საზოგადოებას, რაშიც მათ მედიის შესაბამისი სარედაქციო პოლიტიკაც უწყობს ხელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კომუნიკაცია, კრიზისული კომუნიკაცია, მედია, ტელემედია, კორონავირუსი, COVID-19, კრიზისი, ჩარჩოები (Frames), აჯენდა სეთინგი, ფრეიმინგი, მედიაზე დამოკიდებულება.

Abstract

This master's thesis aimed to analyze the coverage of the crisis communication of the Georgian government in the political programs of the loyal, critical, and neutral media towards the government during the Coronavirus pandemic. The authors of the study looked at what frames, sources, and messages were used by the media, what topics they devoted to airtime, and what the tone of the journalists/presenters was when covering the pandemic. To analyze how the media coverage of the government's crisis communication, whether the government can communicate successfully through the media, we conducted a weekly survey of selected political weekly media (from February 26 to May 22). As the demand for information from the population increases as much as possible in a crisis, the media, as a disseminator and coordinator of the population, plays a crucial role in the context of the global crisis. The study confirmed the fact that the themes and tone of coverage of loyal, pro-government, and neutral TV stations towards the government are significantly different from each other, as well as politicians and journalists, present the same issue differently and give different assessments. Even in times of crisis, the government, as well as the opposition parties, try to present their political visions and offer their agenda to the public, which is facilitated by the relevant media policy.

Keywords:

Communication, crisis communication, media, TV media, coronavirus, COVID-19, crisis, frames, agenda setting, framing, dependence on the media

მადლობა

განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვხატოთ, ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო დანელიას მიმართ, რომელიც ნაშრომის წერის პროცესში გვამღებდა სასარგებლო რჩევებსა და რეკომენდაციებს ნაშრომის გაუმჯობესებისათვის.

ასევე დიდი მადლობა გვინდა გამოვხატოთ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორის ეთო აბუაშვილის მიმართ, რომელიც გახლავთ შ.პ.ს „პრომედია“ მედია დირექტორი, მან მოგვაწოდა ღირებული წყარო „ტრი მედია ინტელიჯენსის“ და „თი ვი ემ არ საქართველოს“ სატელევიზიო რეიტინგები, რითიც დიდი დახმარება გაგვიწია მკვლევარებს გაგვერკვია პოლიტიკური გადაცემების რეიტინგები. აქვე დავაზუსტებთ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არ არის საჯარო და მკითხველს ამ ინფორმაციის გადამოწმება არ შეუძლია. მოწოდებული ინფორმაციის სანდოობაზე სრულ პასუხისმგებლობას ვიდებთ ნაშრომის ავტორები კარლო თავართილაძე ანა ალელიშვილი და თავად ქალბატონი ეთო აბუაშვილი.

ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის იმ ლექტორებს, რომლებიც ამ წლებების განმავლობაში გვიზიარებდნენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, რის შედეგადაც ჩვენ შევიძინეთ პროფესიული ცოდნა და უნარები.